შ.პ.ს. L.T.D.

„გვგ პლასტი" „GVG Plasti"

GVG Plasti

საქართველო. თბილისი, ორახელაშვილის ქ. №5;
5, Orakhelashvili str, Tbilisi, Geopgia gvggroup@gmail.com

# შპს გვგ პლასტი

საიდენტიფიკაციო კოდი: 404971786

## ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

შ.პ.ს. L.T.D.

„გვგ პლასტი“ **GVG Plasti** „GVG Plasti“

საქართველო. თბილისი, ორახელაშვილის ქ. №5;
5, Orakhelashvili str, Tbilisi, Geopgia gvggroup@gmail.com

# შპს გვგ პლასტი

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

1. 2020 წლის დასრულებული საქმიანობის შედეგები

2. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წელი

3. 2020 წლის კონსოლიდირებული ფულის ნაკადების ანგარიშგება

4. ზომითი კატეგორია

5. განმარტებითი შენიშვნები

შ.პ.ს. L.T.D.

„გვგ პლასტი“ „GVG Plasti“

# GVG Plasti

საქართველო. თბილისი, **ორახელაშვილის** ქ. №5;
**5, Orakhelashvili str, Tbilisi, Geopgia** gvggroup@gmail.com

## შპს გვგ პლასტი

| **ზომითი კატეგორია** | **2017** | **2018** | **2019** | **2020** |
|---|---|---|---|---|
| • აქტივების ჯამური ღირებულება | 502667 | 807882 | 970700 | 2102902 |
| • შემოსავალი | 3512043 | 4429661 | 5848490 | 4428933 |
| • დასაქმებულთა საშუალო რაოდ. | 25 | 25 | 25 | 25 |

შ.პ.ს. L.T.D.

,,გვგ პლასტი'' „GVG Plasti"

# GVG Plasti

საქართველო. თბილისი, ორახელაშვილის ქ. №5;
5, Orakhelashvili str, Tbilisi, Geopgia gvggroup@gmail.com

## შპს გვგ პლასტი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წელი

| | 31.12.2020 | 31.12.2019 | 31.12.2018 |
|---|---|---|---|
| **აქტივები** | | | |
| მიმდ. აქტივები ფული და ფულის ექვივალენტი | 1 564 404 | 464 961 | 78 855 |
| მარაგები | 416 267 | 498 279 | 729 027 |
| მზა პროდუქცია | 50 000 | 48 279 | 231 436 |
| სხვა | 366 267 | 450 000 | 497 591 |
| ძირითადი საშუალებები | 122 231 | 7 460 | 0 |
| **სულ აქტივები** | **2 102 902** | **970 700** | **807 882** |
| **ვალდებულებები** | | | |
| სავაჭრო ვალდებულება | 130 612 | 130 612 | 130 612 |
| მიმდინარე სასესხო ვალდებულებები | 662 390 | 430 188 | 576 376 |
| გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები | 1 209 100 | 309 100 | 0 |
| **სულ ვალდებულებები** | **2 002 102** | **869 900** | **706 988** |
| **კაპიტალი** | | | |
| სააქციო კაპიტალი | 100 800 | 100 800 | 100 894 |
| სულ საკუთარი კაპიტალი | 100 800 | 100 800 | 100 894 |
| სულ საკუთრი კაპიტალი და ვალდებულებები | 2 102 902 | 970 700 | 807 882 |
| სულ მოკლევადიანი აქტივები | 400 | 500 | 300 |
| სულ მოკლევადიანი ვალდებულებები | 100 | 400 | 500 |

**ხელმოწერა** 1. შპს „გვგ პლასტი"-ს დირექტორი გელა გელაშვილი

2. შპს „გვგ პლასტი"-ს მთ. ბუღალტერი ვაჟა მაჩიტაძე

GVG PLASTI
"GVG PLASTI" LTD
471786

4.3.21

შ.პ.ს.

„გვგ პლასტი"

L.T.D.

„GVG Plasti"

GVG Plasti

საქართველო. თბილისი, ორახელაშვილის ქ. №5;

5, Orakhelashvili str, Tbilisi, Geopgia gvggroup@gmail.com

# შპს გვგ პლასტი

2020 წლის დასრულებული საქმიანობის შედეგები

| | 2020 | 2019 | 2018 |
|---|---|---|---|
| **ამონაგები -** | **4 428 933** | **5 848 480** | **4 429 661** |
| საქონლის გაყიდვიდან - | 4 428 933 | 5 848 480 | 4 429 661 |
| რეალიზ. პროდუქციის თვითღირებულება | 0 | 0 | 3 907 845 |
| საწყისი მარაგები - | 0 | 729 027 | 436 299 |
| მარაგების შესყიდვა - | 0 | 4 102 480 | 3 393 391 |
| გადამუშავების დანახარჯები - | 0 | 78 155 | 78 155 |
| **საერთო მოგება -** | **4 428 933** | **5 848 480** | **521 816** |
| დასაქმებულების ანაზღაურება - | 450 000 | 450 000 | 452 033 |
| ცვეთა ამორტიზაცია - | 2300 | 1 492 | 0 |
| იჯარის ხარჯი - | 76 811 | 71 257 | 57 361 |
| ადმინ. და სხვა საოპერაციო ხარჯი | 0 | 0 | 429 771 |
| საოპერაციო ხარჯი - | 529 111 | 522 749 | 939 165 |
| **საოპერაციო მოგება -** | **3 899 822** | **5 325 731** | **417 349** |
| წმ. შემოსავალი (დანაკარგი) სავალ. ოპერაციიდან | 0 | 250 000 | 250 000 |
| მოგება (ზარალი) – | 3 899 822 | 5 075 731 | 667 346 |
| **საკ. კაპიტალი საანგარიშო პერიოდის დასაწყისში -** | **100 800** | **100 894** | **100 894** |
| სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში - | 0 | 4 708 062 | 0 |
| კაპიტალის სხვა ცვლილებები - | 3 899 822 | 9 783 887 | 667 349 |
| **საკუთარი კაპიტალი საანგარიშო წლის ბოლოს -** | **100 800** | **100 800** | **100 894** |

ხელმოწერა 1. შპს „გვგ პლასტი"-ს დირექტორი გელა გელაშვილი

2. შპს „გვგ პლასტი"-ს მთ. ბუღალტერი ვაჟა მაჩიტაძე

5. 5-21

შ.პ.ს. L.T.D.

„გვგ პლასტი“ „GVG Plasti“

GVG Plasti

საქართველო. თბილისი, ორახელაშვილის ქ. №5;
5, Orakhelashvili str, Tbilisi, Geopgia gvggroup@gmail.com

# შპს გვგ პლასტი

2020 წლის ფულის ნაკადების ანგარიშგება

| ფულადი სახსრების მოძრაობა | 2020 | 2019 | 2018 |
|---|---|---|---|
| წმ. ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან - | 4 428 933 | 5 848 480 | 4 429 661 |
| წმინდა ფულადი სახსრების შემცირება: - | 3 329 490 | 5 383 520 | 4 417 174 |
| წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვ. - | 1 099 443 | 464 960 | 12 487 |
| სავალუტო კურსის ეფექტი - | 0 | 78 854 | 0 |
| ფულის ექვივალენტი წლის დასაწყისში - | 464 961 | 78 855 | 66 368 |
| წლის ბოლოს - | 1 564 404 | 464 961 | 78 855 |

ხელმოწერა 1. შპს „გვგ პლასტი“-ს დირექტორი გელა გელაშვილი

2. შპს „გვგ პლასტი“-ს მთ. ბუღალტერი ვაჟა მაჩიტაძე

GVG PLASTI 404571786

შ.პ.ს.

L.T.D.

„გვგ პლასტი“

GVG Plasti

„GVG Plasti“

საქართველო. თბილისი, ორახელაშვილის ქ. №5;
5, Orakhelashvili str, Tbilisi, Geopgia gvggroup@gmail.com

# შპს გვგ პლასტი

## განმარტებითი შენიშვნები

- ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს-ის შესაბამისად.

- ფორმები შევსებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისოო სტანდარტის (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის წარმოდგენილი ფორმებით.

- ფულადი სიდიდეების დადგენის პროცესში გამოყენებულია ბანკის ამონაწერები და სალაროს მოძრაობა.

- ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი მუხლები გამყარებულია ერესზე ატვირთული ზედნადებებით და ანგარიშფაქტურებით, ასევე ხელშეკრულებებით რომელიც ადასტურებს მათ სინამდვილეს.

ხელმოწერა 1. შპს „გვგ პლასტი“-ს დირექტორი გელა გელაშვილი

2. შპს „გვგ პლასტი“-ს მთ. ბუღალტერი ვაჟა მაჩიტაძე

შ.პ.ს. L.T.D.

„გვგ პლასტი" „GVG Plasti"

# GVG Plasti

საქართველო. თბილისი, ორახელაშვილის ქ. №5;
5, Orakhelashvili str, Tbilisi, Geopgia gvggroup@gmail.com

## ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებები შენიშვნები

### 1. ზოგადი ინფორმაცია შპს „გვგ პლასტი"-ს შესახებ

შპს „გვგ პლასტი" დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ" ანონის შესაბამისად მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში 04.01.2013 თარიღში.
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი ვაკე საბურთალოს რაიონი, წყნეთის ქუჩა კორპ.1 ბინა 42
ფაქტობრივი მისამართი: საქართველო, თბილისი, ლილოს დასახლება, ორახელაშვილის ქ.5
დამფუძნებელი: გელა გელაშვილი, პირადი #13001013276 100% წილის მმართველი.
ხელმძღვანელი: დირექტორი - გელა გელაშვილი პირადი #13001013276
შპს „გვგ პლასტი"-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს პოლიეთილენის, კომპოსტირებადი და ბიოდეგრადირებადი პარკის წარმოება. კერძოდ კომპანია ახორციელებს სხვადასხვა სახის და ტიპის, როგორც ჩვეულებრივ ასევე ბრენდირებული პარკის წარმოებას და ახდენს საცალოდ და საბითუმოდ რეალიზებას.

### 2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წაარმოადგენს შპს „გვგ პლასტი"-ს ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

### 3.მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია ნორმატიული აქტების საფუძველზე: -საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ"; -საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ"; - ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის";

**ფული და ფულის ომპონენტები**

კომპანიის საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა - ლარი; უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების / ფულადი აქტივების /

ვალდებულებების აღრიცხვა ხდება ანგარიშგების დღეს არსებული ეროვნული გაცვლითი კურსის შესაბამისად.
კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები ასახულია ცალ-ცალკე, პირდაპირი მეთოდით.

**ფინანსური აქტივები**

ფინანსური ინსტრუმენტები ფინანსურიაქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც ორგანზაციის ბალანსზე აღირიცხება, წარმოდგენილია დებიტორული დავალიანების, ფულაი სახსრებისდა მისი ექვივალენტების და სხვა ვალდებულებების სახით, ორგანიზაცია ფინანსურ ინსტრუმენტებს ბალანსში ასახავს მაშინ, როდესაც ორგანიზაცია გახდება ფინანსური ინსტრუმენტთან დაკავშირებული გარიგების მონაწილე. ფინანსური ინსტრუმენტის ან ფინანსური ინსტრუმენტის ნაწილის აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ , როდესაც ორგანიზაცია კარგავს კონტრაქტით გათვალისწინებულ უფლებებს ან დაფარავს ინსტრუმენტთან დაავშირებულ ვალდებულებებს. ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტისას, სხვაობა მიღებულ ან მისაღებ შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღირიცხება.
სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება მოგება-ზარალში იმ პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა აღნიშნული დანახარჯი.

**სავაჭრო მოთხოვნები**

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები არის ბიზნესის ძირითადი საქმიანობის საქონლის რეალიზაციის / მომსახურების შედეგად მომხმარებლისგან მისაღები თანხები. შესაბამისად, ისინი კლასიფიცირდებიან მოკლევადიან აქტივებად. აღიარდება საქონლის / მომსახურების გასაყიდი ფასის ოდენობით.

**გადახდილი ავანსები**

კომპანიის ავანსები წარმოადგენს წინასწარ გადახდილ თანხებს საქონლის / მომსახურების შესყიდვის მიზნით და მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა წინასწარ გადახდილ საოპერაციო ხარჯებს.

**მარაგები**

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები შემოსავალში აიღება შეძენის ფაქტობრივი თვითღირებულებით, რომელიც მოიავს შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან დაავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს (გარდა საგადასახადო ორგანოების მიერ საწარმოსთვის დასაბრუნებელი გადასახადებისა).

**ძირითაადი საშუალებები**

ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება თვითღირებულებით, რომჯელიც მოიცავს ნასყიდობის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახდელებს, არადაბრუნებად გადასახადებს, დატვირთვა-გადმოტვირთვისა და ტრანსპორტირების, მონტაჟისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის ხარჯებს.
ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება ექსპლუატაციაში შესვლის თარიღიდან მისი სასარგებლო მომსახურების ვადისს განმავლობაში წრფივი მეთოდით. ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით.

ცალკეული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა: მოხმარებისთვის განკუთვნილი სამეურნეო და საანცელარიო დანიშნულების საქონელი შესყიდვისთაავე მიეკუთვნება საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს. მცირეფასიანი ინვენტარი და ნივთები გადაცემისთანავე მიეუთვნება საოფისე ხარჯებს. კომპიუტერული ტექნიკის ექსპლუატაციისთვის აუცილებელი ნივთები და მასალები შესყიდვისთანავე მიეუთვნება კომპიუტერის ხარჯებს.

**სავაჭრო ვლდებულებები**

სავაჭრო ვალდებულებები მიმდინარე პერიოდის მოვალეობაა, რომელიც წარმოიქმნება საქონლის მოწოდებასთან ან/და მომსახურების გაწევასთან დაავშირებით.

**საგადასახადო ვალდებულებები**

კომპანიის საგაადასახადო ვალდებულებას 31,12,2019 წლისთვის შეადგენს მხოლოდ ის ვალდებულება, რომელიც აისახება პერიოდის ბოლოს: გადასახდელი დღგ, რომლის გადახდაც ხდება არაუგვიანეს მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

**გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები**

სესხი აღირიცხება საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება მოგება-ზარალში იმ პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა აღნიშნული დანახარჯი.

**შემოსავლის აღიარება**

შემოსავლის ღიარება ხდება, როდესაც:

- კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საუთრებასთან დაკკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;
- შესაძლებელია ამონაგები თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
- მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან ომპანია მიიღებს ეკონომიურ სარგებელს;
- შესაძლებელია მჯოცემულ ოპერაციასთან დაავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხაარჯების საიმედოდ განსაზღვრა;
- შემოსავლების აღრიცხვა ხდება დარიცხვის მეთოდით. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

**ხარჯების აღიარება**

ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფაასება.

ხელმოწერა 1. შპს „გვგ პლასტი"-ს დირექტორი გელა გელაშვილი

2. შპს „გვგ პლასტი"-ს მთ. ბუღალტერი ვაჟა მაჩიტაძე

10.21